



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დუმბაძე ნაზი ივანეს ასული



ნ. დუმბაძე

დუმბაძე ნაზი (ნათელა) ივანეს ასული (21. VI. 1938, თბილისი, - 27. XII. 2006, იქვე), ესტრადის მომღერალი. საქართველო. დამს. არტიტი (1967).

სტუდენტი ახალგაზრდობის საერთაშ. ფესტივალის ლაურეატი (მოსკოვი, 1956). 1955 დაამთავრა თბილ. ი. ჭავჭავაძის სახ. უცხო ენათა პედაგოგიური ინ-ტი, ფრანგული და ესპანური ენების განხრით. სიმღერა დაიწყო ინ-ტის თვითმოქმედ კოლექტივში. 1956-იდან იყო საქართველო. სახელმწ. ფილარმონიის სოლისტი.

მღეროდა სხვადასხვა საესტრადო კოლექტივში: „ლალე“ (1956-57, ხელმძღვ. ე. სეფაშვილი), „რერო“ (1957-69, ხელმძღვ. კ. პეზნერი), „დიელო“ (1969-71, ხელმძღვ. ა. ებრალიძე), „ჯაბ-ქორალი“ (1971-72, ხელმძღვ. ა. კილაძე).

დ-ის რეპერტუარში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართვ. კომპოზიტორთა ნაწარმოებებს, რ-თაგან აღსანიშნავია: დ. არაყიშვილის „ურმული“, გ. ცაბაძის „ჯარისკაცის დედა“, „ლალე“, „პაემანზე“, ო. თევდორაძის „სიყვარული მოგვრევია“ და სხვ.

ფართო დიაპაზონის ხმა (ალტი) და შესრულების თავისებური მანერა საშუალებას აძლევდა დიდი ოსტატობით მიეტანა მსმენელამდე ქართ. და მსოფლიო ხალხთა სიმღერები.